

აგროდაზღვევის განვითარების შესაძლებლობები

ნანა ბენიძე

ე.ა.დ. ანსუ, ბიზნესის ადმინისტრირების
ასოცირებული პროფესორი;

ჯამბულ ბინაძე

ე.ა.დ. ანსუ, ბიზნესის ადმინისტრირების
ასოცირებული პროფესორი;

რეზიუმე

აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და ამ წლების განმავლობაში კიდევ უფრო დაიხვეწა. ის მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას. პროგრამა, სოფლის მოსახლეობას ეხმარება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის შემცირებაში, რაც მნიშვნელოვანია შემოსავლის სტაბილურობისათვის.

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ღონისძიებებისა, რომელიც დროული და მნიშვნელოვანია, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია: 1. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მეტი ორიენტირება. 2. სახელმწიფომ შეიმუშაოს მიზანმიმართული აგრაღური პოლიტიკა და ინვესტიციების განხორციელების მოქნილი მექანიზმი. 3. მეტი ყურადღება დაეთმოს მკვლევარების მიერ დამუშავებულ რეკომენდაციებს და დაინერგოს პრაქტიკაში. როგორც მოგეხსენებათ, აგრაღური სექტორი გადაჯაჭულია მრეწველობასთან. თანამედროვე ტექნოლოგიები ზრდის საერთო პროდუქტიულობას და საბოლოო ჯამში შემოსავალს. სოფლის მოსახლეობის გადარჩენის ერთადერთი საშუალება ხომ სოფლის მეურნეობის განვითარებაა. განვითარდება სოფლის მეურნეობა, შეწყდება მიგრაცია, გაჩნდება სამუშაო ადგილები. 4. არანაკლებ საყურადღებოა ის ფაქტი რომ ახალგაზრდები ამ პროგრამაში ნაკლებად არიან ჩართული. ეს კი პრობლემას ქმნის ცოდნის გადაცემის კუთხით. საჭიროა ახალგაზრდების დაინტერესება ამ პროგრამის მიმართ, უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების

განახლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამატება.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: აგროდაზღვევა, დაზღვევა, სოფლის მეურნეობა. სახელმწიფო.

შესავალი

საქართველოში სოფლის მეურნეობას მდიდარი ტრადიციები აქვს. საქართველო ოდითგანვე ხორბლისა და ვაზის სამშობლოდ ითვლებოდა და ქართველებისათვის ყოველთვის მინათმოქმედება ცხოვრების წესი იყო. მსოფლიოში დღითიდღე იზრდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნა, კლიმატური პირობები იძლევა საშუალებას, საქართველო გახდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მწარმოებლად. თუმცა, საქართველოში მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგრო პროდუქტი 80%-მდე იმპორტირებულია. ამიტომ, ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული თანხა გაედინება საზღვარგარეთ. მნიშვნელოვანია, რომ იმპორტირებული პროდუქტი ჩანაცვლდეს სამამულო პროდუქტით. ეს არის ქვეყანა, სადაც ყველა შესაძლებლობა არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და საქართველოს ნამდვილად აქვს შესაძლებლობა სოფლის მეურნეობის სწორი განვითარებით ააღორძინოს ეკონომიკა. თუ სახელმწიფოს მხრიდან იქნება მეტი მხარდაჭერა და საქართველოში მოხდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებაზე ორიენტირება ეს პროცესი მოიტანს ბევრ სამუშაო ადგილს და მსოფლიო ბაზარზე სათანადო ადგილს დაიმკვიდრებს.

ბოლო პერიოდში სახელმწიფომ დაიწყო ზრუნვა აგროდაზღვევის განვითარებისათვის. აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და ამ წლების განმავლობაში კიდევ უფრო დაიხვეწა. ის მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას. პროგრამა, სოფლის მოსახლეობას ეხმარება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის შემცირებაში, რაც მნიშვნელოვანია შემოსავლის სტაბილურობისათვის. ყოველწლიურად უამრავი ფერმერი, რომელთათვისაც მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

შემოსავლის ძირითადი წყაროა, სხვადასხვა სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის (სეტყვა, ქარბი ნალექი, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა და სხვა) გამო, მთელი წლის შემოსავალს კარგავს.

ძირითადი ტექსტი

თავდაპირველად საქართველოში აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას. ამ პროგრამაში საქართველოში მოქმედ 8 სადაზღვევო კომპანია მონაწილეობდა: ალდაგი, ჯი პი აი ჰოლდინგი, სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია, არდი, ალფა, თიბისი დაზღვევა, საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი, გლობალ ბენეფიტს ჯორჯია.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი დაფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი. საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის)-1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში,

2014 წლის მონაცემებით საქართველოდან ექსპორტირებულია 825,9 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, (ძირითადად თხილი და ღვინო) ხოლო იმპორტირებულია 1,3 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია (ძირითადად ხორბალი, თამბაქო). როგორც ვხედავთ, იმპორტი 36,5%-ით აღემატება ექსპორტს¹. ამავე წლის მონაცემებით სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 9,2%-ია, ამ სფეროში დასაქმებულთა წილი კი დაახლოებით 54%, რაც ამ სფეროში არსებულ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებს, რადგან გამოდის, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი მთლიანი შიდა პროდუქტის მხო-

1 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები

ლოდ 9,2%-ს ქმნის . შედარებისათვის: აშშ-ის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 1,6%, გერმანიაში – 2,9%, ევროკავშირის ქვეყნებში საშუალოდ – 5,0%. აშშ-ში ერთი ფერმერული მეურნეობა სურსათით უზრუნველყოფს საშუალოდ 126, გერმანიაში - 144, ევროკავშირის ქვეყნებში - 51 ადამიანს, პოლონეთში, ძირითადად განვითარებულია აგროდაზღვევის 2 მიმართულება: მოსავლის და საქონლის დაზღვევა. პოლონელი ფერმერების მხოლოდ 3% აზღვევს მოსავალს. 2009 წლიდან აგროდაზღვევაში უკვე სახელმწიფო მონაწილეობს და აფინანსებს მოსავლის დაზღვევის 40 %-ს და საქონლის დაზღვევის 50%-ს. ავსტრიაში კი სადაზღვევო პრემიის 50%-ს იხდის ფერმერი, 50%-ს კი სახელმწიფო. ავსტრიაში დაზღვეულია მთლიანი მიწებების 75%, ვენახების 60%, ბოსტნეულის 90%, ბაღჩეულის 80% და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 30%¹ , ხოლო საქართველოში ერთ დასაქმებულს საშუალოდ თავის გამოკვებაზე კი უჭირს. 2019 წელს სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელებას აგრძელებს. წინა წლების მსგავსად ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა, სახელმწიფოს მხრიდან თანამონაწილეობა კვლავ იქნება 70%; ვაზზე 50%. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა. აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში, არაუმეტეს, 30 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ასევე, ნებისმიერ ბენეფიციარს მფლობელობაში არსებული მიწის ნებისმიერი (5 ჰექტარს ზემოთ) ფართობიდან შეუძლია 5ჰექტარი მიწის ნაკვეთის დაზღვევისას სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება მიიღოს. დაზღვევას დაექვემდებარება მხოლოდ ისეთ მიწის ნაკვეთზე მოყვანილი მოსავალი, რომე-

1 <http://eugeorgia.info/ka/article/107/agrodazgvevis-saxelmwifo-programashi-5-sadazgvevo-kompania-chaerto/>

ლიც დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“. ასევე დამზღვევი ან მინის მესაკუთრე, რომელსაც სურს რომ მიიღოს პროექტში მონაწილეობა, ვალდებულია დარეგისტრირდეს ფერმერთა რეესტრში.მოცდის პერიოდი სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღიდან 4 დღის ვადითაა განსაზღვრული. აგროდაზღვევის პროგრამაში ჩართვა შეუძლება საქართველოს ტერიტორიაზე ლიცენზირებულ ყველა სადაზღვევო კომპანიას.

2014- 2018 წლებში აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში: 1.გაცემულია 81,453 პოლისი¹ დაზღვეული ფართობი შეადგენს 71,413 ჰა. 2.ჯამში დაიზღვა 551,366,395 ლარის მოსავალი. 3.ფერმერების მიერ დაზღვევის მომსახურებაში გადასახდელი თანხიდან სახელმწიფომ 33,854,463 ლარის სუბსიდირება მოახდინა. 5 წლის განმავლობაში ანაზღაურებულმა ზარალმა 35,343,213 მლნ ლარი შეადგინა.¹

2013 წელს ევროკავშირში ფერმერთა 8,5% გაიარა სრული ტრეინინგი.ფერმერთა 69.8%-მა საკუთარი გამოცდილებიდან შეიძინა, 93 უშუალოდ ქვეყნის დონეზე ტრეინინგის სრული ციკლი.² გავლილი აქვთ ფერმერთა შემდეგ პროცენტს: ლუქცენბურგი -50%, ჩეხეთი-34,6%, საფრანგეთი-29,3%,ლატვია-28,4%,პოლონეთი-27,6%.ის ქვეყნები რომლებიც გადამზადების სრულ ციკლზე არიან ორიენტირებულები და ფერმერები აქტიურად მონაწილეობენ გადამზადებაში,პროდუქტიულობა გაცილებით მაღალია.

საქართველოში 2018 წლის განმავლობაში საკონსულტაციო მომსახურება გაენია 115,387 ფიზიკურ და იურიდიულ პირს (აქედან დაახლოებით 95% ფიზიკური პირი). კონსულტაციების რაოდენობამ შეადგინა 49,972. მათ შორის: 33,764 დარგობრივი მიმართულებით და 16,208 სახელმწიფო პროგრამების თაობაზე;საქართველოში შერჩეულ იქნა 2 საპილოტე რეგიონი: რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი და გურია. ორივე რეგიონში მი-

¹ <http://apma.ge/news/view/230/>

² CAP CONTEXT INDICATORS – 2015 update, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015, p. 106

მდინარეობს სტრატეგიით გათვალისწინებული საექსტენციო აქტივობები. მომზადებულია 2018 წლის ანგარიში განეული მუშაობის შესახებ; სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ იმერეთის, გურიის, სამეგრელოს და შიდა ქართლის რეგიონების 150 სოფელში ჩატარდა 98 თემატური ტრენინგი და 32 ლექცია-სემინარი. ასევე, ჩატარდა 14 სავსე დღე.¹ ნამდვილად, მნიშვნელოვანი და დროული სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, თუმცა საჭიროა მეტი მოცვა.

დასკვნა

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ღონისძიებებისა, რომელიც დროული და მნიშვნელოვანია, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია: 1. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მეტი ორიენტირება. 2. სახელმწიფომ შეიმუშაოს მიზანმიმართული აგრარული პოლიტიკა და ინვესტიციების განხორციელების მოქნილი მექანიზმი. 3. მეტი ყურადღება დაეთმოს მკვლევარების მიერ დამუშავებულ რეკომენდაციებს და დაინერგოს პრაქტიკაში. როგორც მოგეხსენებათ, აგრარული სექტორი გადაჯაჭვულია მრეწველობასთან. თანამედროვე ტექნოლოგიები ზრდის საერთო პროდუქტიულობას და საბოლოო ჯამში შემოსავალს. სოფლის მოსახლეობის გადარჩენის ერთადერთი საშუალება ხომ, სოფლის მეურნეობის განვითარებაა. განვითარდება სოფლის მეურნეობა, შეწყდება მიგრაცია, გაჩნდება სამუშაო ადგილები. 4. არანაკლებ საყურადღებოა ის ფაქტი რომ ახალგაზრდები ამ პროგრამაში ნაკლებად არიან ჩართული. ეს კი პრობლემას ქმნის ცოდნის გადაცემის კუთხით. საჭიროა ახალგაზრდების დაინტერესება ამ პროგრამის მიმართ, უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების განახლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამატება.

1 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2018 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

THE POSSIBILITIES OF AGRO INSURANCE DEVELOPMENT

Nana Benidze - PhD in Economics,
Associate Professor of Business Administration, ATSU

Jambul Bitsadze - PhD in Economics,
Associate Professor of Business Administration, ATSU

RESUME

The agro insurance program has been launched since September 1, 2014 and it has been further improved during these years. It aims to promote the agricultural activities. The program helps the villagers to reduce the damage caused by natural disasters, which is important for income stability.

In spite of the effective actions of the state which is timely and important, there should be considered:

1. More orientation on ecologically pure products.
2. The government should develop the deliberate agrarian policy and flexible mechanism for investments.
3. More attention should be drawn to the recommendations developed by researchers and to be introduced in practice. Generally, the agrarian sector is linked to the industry. Ultimately the modern technologies increase the overall productivity and incomes. The only way to save the village is the development of agriculture. Agriculture will be developed, the migration will be stopped and more jobs will be created.
4. It is noteworthy that young people are less involved in this program. This creates the problem in the field of knowledge transfer. Young people need to be interested in this program, they need to resume the educational programs and add practical skills.

Keywords: agro insurance, insurance, agriculture, state.